

კოლხური ხოხობის მოშენების

პრაქტიკული ცნობარი



სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

აფხაზეთის ა/რ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი

ზემოთაღნიშნული უწყებების სპეციალისტების მიერ შემუშავდა ცნობარი, რომელიც დაეხმარება მცირე ბიზნესში დასაქმებით დაინტერესებულ პირებს მინიმალური დანახარჯების გაწევით დაკავდნენ მიკრომეწარმეობის სექტორში კონკრეტული მიმართულების საქმიანობით.

წარმოდგენილი ცნობარი ითვალისწინებს დაინტერესებულ პირთათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას კოლხური ჯიშის ხოხობის მოშენებისა და გამოზრდის შესახებ, მისცემს ფერმერს მინიმალურ ინფორმაციას, თუ სად შეიძინოს გამოსაჩევი კვერცხები ან გამოჩევილი ლაპები, ასახულია დაავადებებთან ბრძოლის



საშუალებები, საკვების რაციონი და სხვა

სად შევიძინოთ ხოხობი?

ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის 19

ვაშლოვანის დაგული ტერიტორია, სოფ. შავი მთა

ეგზოტიკური ჯიშის (სამეფო, იაპონური, ოქროსფერი, ხიუმა, ყურებიანი, ვერცხლისფერა, დიდი არგუსი და სხვა) ხოხობის ფასი, რომლებსაც ეზოების გასალამაზებლად იყენებენ არის 250\$, სახორცე ხოხობს რესტორნები 1კგ-ს 40 ლარად იბარებენ.

ხოხობის კვერცხის შესაძენი სავარაუდო ფასი ცალი 10 ლარია, ლაპი (წიწილა)-20 ლარი.



ქ. თბილისი

2014 წ.

კოლხური ხოხობი და მისი დანიშნულება

კოლხური ხოხობი საქართველოში უხსოვარი დროიდან ბინადრობს. ძველმა ბერძნებმა ისინი პირველებმა აღმოაჩინეს და მისცეს მათ ეს სახელი იმის გამო, რომ ეს ფრინველები დაინახეს მდინარე ფაზისის ახლოს. ფრინველი ქათმისნაირთა რიგისაა, მამალი 1600გრ-ს აღწევს, დედალი 800გრამს. ყოფილ სსრკ-ს ფარგლებში გვხვდება 13-მდე კოლხური ჯიშის ფრინველი. საქართველოში ის გავრცელებული იყო კოლხეთის დაბლობზე, მტკვრის, ივრისა და ალაზნის ჭალებში. ბუდეს იკეთებს ხმელი ფოთლებითა და ბალახით მიწის პატარა ჩაღრმავებებში. ბიზნესის თვალსაზრისით მიზანშეწონილია ფერმაში 100 მამალზე ვიყოლიოთ 400-500 დედალი ხოხობი. ერთი ხოხობი მოგვცემს 18-20-მდე კვერცხს, საიდანაც საინკუბატოროდ 70%-მდე კვერცხი იქნება ვარგისიანი. ამჟამად ბუნებაში ხოხობი საკმაოდ შემცირებულია და სამონადირეო ნაკრძალების გარდა იშვიათად გვხვდება. ჩვენს დროში ხოხობის მოშენება ემსახურება რამოდენიმე მიზანს: ა) წიწილების გამოზრდა და შემდგომი მათი გადაცემა მონადირეთა მეურნეობებისათვის. ბ) სახორცე მიმართულების გეროგორც ეგზოტიკური ჯიშის, ეზოების გასალამაზებლად.

ბუნებაში ხოხობი გაზაფხულზე, მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისში დებს კვერცხს. შემოდგომის ბუდობა არ არსებობს. კვერცხის შეროვება უკეთესია დილით, საკვების მიღებისას, ან შუადღის შემდეგ. საინკუბაციოდ გამზადებულ კვერცხებს რეცხავენ 3%-იან კალიუმის პერმანგანატის ხსნარში და დებენ გასაშრობად. გამშრალ კვერცხებს დებენ ბნელ ადგილას, სადაც ოთახის ტემპერატურა უნდა იყოს 5-12°C. ინკუბატორში კვერცხის ჩალაგებამდე მათ სინჯავენ ოვოსკოპით. ორგულიანი კვერცხები გამოსაჩეკად უვარგისია. გამოჩეკვის შემდგომ წიწილები (ლაპები) ინკუბატორში რჩებიან გამოშრობამდე. მიზანშეწონილია შეეწინააღმდეგოს უახლესი ტექნოლოგიით დაკომპლექტებული კონტაქტური ინკუბატორი კვერცხების მექანიკური გადატრიალებით, სადაც ფერმერი ჩააწყობს 70 ცალამდე კვერცხს. საკვებისა და წყლის მიცემა დასაშვებია გამოჩეკვიდან 8-12 საათის შემდეგ. სახლის პირობებში ხოხობის წიწილების(ლაპი) გამოსაჩეკად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქათმის კრუხი(14 ხოხობის კვერცხი) ან ინდაური (30-მდე კვერცხი). გამოჩეკვის შემდეგ წიწილები უნდა

გამოვიყვანოთ, შევაშროთ და ისევ დავაბრუნოთ პატარა შემოკავებულ ვოლიერში. სასურველია რომ ტემპერატურა ვოლიერში იყოს 15-18 გრადუსი.

ხოხობის კვება


ბუნებრივ პირობებში ხოხობი გაუმადარი მჭამელია. საჭმლის რაციონი უნდა განაწილდეს ისე, რომ ის იყოს ბუნებრივ პირობებთან შესატყვისი, შემადგენლობით დაბალანსებული: ცხიმებით, ნახშირწყლებით, მინერალური მარილებითა და ვიტამინებით. თვალყურით უნდა ვადევნოთ, რომ მიცემული საჭმლის რაციონი ფრინველმა მთლიანად მიიღოს, რითაც თავიდან ავიცილებთ სხვა პარაზიტი ფრინველების (ჩიტები) მომრავლებას. წყალი უნდა იყოს ყოველთვის ცივი და სუფთა, ვინაიდან ხოხობს აქვს მაღალორგანიზებული ნერვული სისტემა. მათი გამოზრდის დროს არ უნდა დავუშვათ სტრესული სიტუაციები: ვოლიერში ტემპერატურის ხშირი ცვალებადობა, რაციონის უცვლადი შემცირება და კვების დროის რეჟიმის შეცვლა, ახალი ფრინველის გამოჩენა ძველ თაობაში, საკენკის არასაკმარისი რაოდენობა და სხვა. საკვების მიწოდება უნდა იყოს ისეთი რაოდენობით, რომელიც წიწილებს ეყოფათ 2-3 დღე. საერთოდ, ერთი ზრდასრული (2-3 თვე) ხოხობის საკვები უნდა შეადგენდეს 75-85 გრ. დღეში, აქედან: ხორბალი-20გრ, დაფქვილი სიმინდი-30გრ, ძვლის ფქვილი-2გრ, თევზის ფქვილი - 10გრ, თევზის ქონი-1გრ, ხორბლის ქერი-10გრ. მზესუმზირის კოპტონი-10გრ.

აუცილებელი რაციონი:

ხოხობი იკვებება ძირითადად მცენარეულობით, უფრო სარეველათა თესლით, ნაყოფით, ვეგეტატიური ნაწილებით, მწერებით, ხოჭოებით, ობობებით, მოლუსკებით, ჭიებით. სანაშენე პერიოდში კენკრა, ჟოლო, მარწყვი და ასე შემდეგ ასტიმულირებს მადას და აუმჯობესებს საჭმლის მონელებას. ის ერთადერთი ფრინველია, რომელიც ანადგურებს კოლორადოს ხოჭოს.

ხოხობის ვოლიერი. ხოხობის მოშენება ხდება ვოლიერებში, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ხის ან რკინის კონსტრუქციას. ხოხობის ყველა ოჯახი შედგება ერთი მამალი და 6-10 დედლისაგან. მიზანშეწონილია, რომ ეს

ოჯახები იყვნენ ცალკე ვოლიერში. ვოლიერი (გალია) შემოღობილია რკინის ბადით, რომლის ზომებია 2,5 X 2,5 სმ.



რკინის ბადე უნდა იყოს წვრილი ნახვრეტებით, რომ მასში არ გაძვრეს მღრღნელი ცხოველი. ზემოდან ვოლიერი გადაფარული უნდა იყოს ბადით, რათა ფრინველი არ გაგვექცეს. ვოლიერის მშენებლობისას მიზანშეწონილი არ არის, რომ შიგ ტერიტორიაზე დავტოვოთ ბუჩქები, ხეები ან მაღალი ბალახი, რომლებიც ხელის შემშლელი ფაქტორია კვერცხების შეროვებისა და ტერიტორიის დასუფთავებისას.

დაავადება

ხოხობში ყველა დაავადება იყოფა სამ ჯგუფად:

ა) ინფექციური (ლარინგოტრახეიტი)

ბ) ინვაზიური (მუნი, სასუნთქი ორგანოების ტკიპით დაავადება)

გ) არაგადამდები (დერმატიტი, ემფიზემა, ავიტამინოზი)

მიკროორგანიზმები და ვირუსები იწვევენ ინფექციურ დაავადებებს, ხოლო პარაზიტები კი არიან ინვაზიური დაავადებების გამომწვევეები. დაავადებების თავიდან ასაცილებლად საჭიროა წყლისა და საკვები რაციონის მიღება, მოვლა და დროულად დაავადების გამომწვევი მიზეზების გამოვლენა.

